

**2023 წლის
ბიუჯეტის
მოქალაქეთა
გზამკვლევი**

2023

მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

მოგესალმებით,

ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება იმის შესახებ, თუ საიდან უნდა შეივსოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და როგორ დაიხარჯოს იგი.

ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ახსნას, თუ როგორ მოხდება ფულის შეროვება და დახარჯვა 2023 წელს. იგი დაწერილია მარტივი ენით, რათა ის გასაგები და გამოყენებული იყოს ფართო საზოგადოების მიერ. ეს საშუალებას მისცემს მოქალაქეებს გაეცნონ საბიუჯეტო პროცესს და სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მასში.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი ერთეული იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1930 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. წყაროებში პირველად მოიხსენიება XVI საუკუნის 60-იან წლებში. სახელწოდება "ზესტაფონი", გადმოცემის თანახმად, მომდინარეობს ზედა ფონისაგან (მდ. ყვირილაზე). XIX საუკუნის 20-იან წლებში აქ იყო კაზაკთა ჯარის პოსტი - ყვირილის პოსტი და ზესტაფონსაც ყვირილა დაერქვა. თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის შემდეგ აქ ვაგზოს შენობა ააშენეს, იმატა მოსახლეობამ. ქალაქად გამოცხადდა 1926 წელს. XX საუკუნის 20-იან წლებში მცირე ხნის მანძილზე ქალაქი ატარებდა რევოლუციონერ ჯუღელის სახელს და შემდეგ დაიბრუნა ისტორიული სახელწოდება. ზესტაფონის სწრაფი ტემპებით ზრდა დაკავშირებულია ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციაში გაშვებასთან. საწარმოს ამუშავებამ ქალაქი აქცია საქართველოს ერთ-ერთ ინდუსტრიულ ცენტრად. ზესტაფონი გახლავთ ერთ-ერთი ცენტრი მეღვინეობა-მევენახეობის დარგის საქართველოში. ციცქა და ცოლიკაური-ს ჯიშის ყურძნებისაგან დამზადებული ღვინოები სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში და მრავალჯერ იქნა მინიჭებული სხვადასხვა სახის ჯილდოები. ზესტაფონის რაიონში მრავალი ისტორიული ძეგლია, კერძოდ: ზედა საქარის XI- ე საუკუნის, ტაბაკინის VI- ე საუკუნის, წევის XI- ე საუკუნის, სანახშირისა და სხვა ეკლესიები, ადრინდელი შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები შროშაში და შორაპანში. შორაპანი (SARAPANIS) გახლავთ ის ტოპონიმი, რომელზედაც მოგვიტხრობს ძველბერძნული მითოლოგია. სწორედ შორაპანამდე მოაღწიეს იასონმა და მისმა არგონავტ-მა მეგობრებმა ძველ კოლხეთში მოგზაურობისას.

მდებარეობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილსა და იმერეთის მაღლობზე, მდინარე ყვირილას ორივე სანაპიროზე. მისი რელიეფი დანაწევრებულია მდინარეთა ხეობებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ზღვის დონიდან 90-დან 200 მეტრამდე მერყეობს, თუმცა სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში არის ადგილები, სადაც სიმაღლე 1088 მეტრს აღწევს. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, ჩრდილო აღმოსავლეთით ჭიათურის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით თერჯოლის მუნიციპალიტეტი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით კი - ბაღდათის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები: ძირულა-ხარაგაული, ზესტაფონი-ხარაგაული, ზესტაფონი-

ჭიათურა და ზესტაფონი-ბაღდათი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო ხაზი ხაშური-სამტრედია, ასევე რკინიგზის მონაკვეთი საჩხერის მიმართულებით. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრი თბილისიდან 196 კმ-ით არის დაშორებული.

ფართობი

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ფართობი - 423 კვ. კმ-ია (მხარის ფართობის /6552 კვ. კმ/ 6,4%-ს, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის /69700კვ.კმ/ 0,60%-ს).

გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 17,3 ჰა დაფარულია ტყითა და ბუჩქნარით, 3,600 ჰა - მრავალწლიანი ნარგავებით. გორაკიანი ზონა დაფარულია კოლხური ტყეებით, სადაც იზრდება ძვირფასი ჯიშის ხეები: მუხა, წიფელი, კოპიტი, კაკლის ხე და სხვ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა, ბუჯა და მათი შენაკადები. მდინარეებია საზრდოობენ წვიმით, თოვლით და მიწისქვეშა წყლებით. სოფელ შროშაში არის მარმარილოს კარიერი. დაბლობში ნიადაგი ალუვიულია, შემადღებულ ადგილებში სუბტროპიკული. გორაკიანი ადგილები დაფარულია შავ-კარბონატული მიწით, რომლის ზედაპირი მეტად სქელია. მუნიციპალიტეტის აღმოსავლეთ ნაწილში ტყის ნიადაგია. დაბლობში კლიმატი საშუალოდ სუბტროპიკულია, ზამთარი შედარებით ცივია, ზაფხული მშრალი. წლის საშუალო ტემპერატურაა 14 გრ. ცელსიუსით. იანვარის ტემპერატურაა 3,7-4,3 გრ. აგვისტოში კი 25 გრ. ნალექების რაოდენობა 1190 მმ. გორაკიან და მთიან ზონებში ტემპერატურა დაბალია. ხშირია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარები, ზოგჯერ ქარი ზღვიდანაც აღწევს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება მდინარეები ყვირილა, ძირულა, ჩოლაბური, ჩხერიმელა, ბუჯა და მათი შენაკადები. მდინარეები საზრდოობენ წვიმით, თოვლით და მიწისქვეშა წყლებით.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 39 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 13 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 26 წევრი პროპორციული სისტემით.

საკრებულოს კომისიებია:

- იურიდიულ საკითხთა კომისია;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომისია;
- კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია;
- ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.


მერიის სამსახურებია:

- ადმინისტრაციული სამსახური;
- იურიდიული მომსახურებისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური;
- საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;
- სოციალური დაცვის სამსახური;
- ეკონომიკის, ქონების მართვისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახური;
- ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახური;
- განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური;
- შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური.
- სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს და მოსახლეობას სერვისს აწვდის ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი ტერიტორიული ორგანოები:

- ზესტაფონის რაიონული სასამართლო;
- საქართველოს პროკურატურის დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ზესტაფონის რაიონული პროკურატურა;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ზესტაფონის რაიონული პოლიციის სამმართველო;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული ოფისის, ზესტაფონის ფილიალი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ზესტაფონის ტერიტორიული სამსახური;
- საქართველოს ეროვნული არქივის, ზესტაფონის რეგიონული არქივი;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონული სამმართველოს, ზესტაფონის ფილიალი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტის), ზესტაფონის სამმართველო;
- ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრი.



მოსახლეობა

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 57,6 ათასი კაცია, სიმჭიდროვე-136,24 კაცი კვადრატულ კილომეტრზე, მათ შორის 29,9 ათასი მამაკაცი და 27,7 ათასი ქალი. ქ. ზესტაფონში ცხოვრობს 19,8 ათასი კაცი, ხოლო სასოფლო დასახლებებში 36,7 ათასი კაცი. აღნიშნული რაოდენობიდან 15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა შეადგენს 22,4 ათასი კაცი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში 19 ადმინისტრაციული ერთეულია. მუნიციპალიტეტში 60 დასახლებაა: 1 ქალაქი, 1 დაბა და 58 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ზესტაფონის მუნიციპალიტეტი მე-11-ე ადგილზეა. იგი მოსახლეობით უტოლდება ისეთ მუნიციპალიტეტებს როგორცაა: წყალტუბო, მცხეთა, ბოლნისი, გურჯაანი, ხაშური, საგარეჯო, ხელვაჩაური.

გასული საუკუნის 90-ან წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა ფონმა განაპირობა მოსახლეობის ინტენსიური გადინება უცხოეთში. გარდა ამისა მუნიციპალიტეტში მაღალია შიდა მიგრაციაც, როდესაც მოსახლეობის ჩამოსახლება ხდება სოფლებიდან ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5 %-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 11,4% შეადგენს.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2020 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3,716900 (2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	69700 (2014 წლის 1 მარტის მდგ)
იმერეთის რეგიონი	497400(2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	6414,7 (2014 წ 1 მარტის მდგომარეობით)
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	57600	423
პროცენტი საქართველოსთან	1,5	0,05
პროცენტი რეგიონთან	11,4	6,6

მოსახლეობის რაოდენობა — 54,300. პენსიის პაკეტის მიმღებთა რაოდენობა -13252.მათ შორის დევნილთა სტატუსის მქონე მიმღებთა პირი 122. სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა -2,771. საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა -10083 პირი.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პრიორიტეტების დოკუმენტი - არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციას.

რა არის ბიუჯეტი?

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget“) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ბიუჯეტი არის მთავრობის ტომარა, რომელიც იკსება და იხარჯება ყოველდღიურად.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების

მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეროვნებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.





მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის ხელისუფლების მიერ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ყველა დონის ბიუჯეტის შევსების წყარო არის მოსახლეობა, ანუ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახდებით ივსება ბიუჯეტი.


საბიუჯეტო პროცესი

საქართველოში საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები დარეგულირებულია საბიუჯეტო კოდექსით, ხოლო შიდა საბიუჯეტო კალენდარს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი. ზესტაფონის მუნიციპალიტეტში შიდა საბიუჯეტო კალენდარი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:






ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპები:



მუნიციპალური ორგანოების როლი საბიუჯეტო პროცესში გამიჯნულია კანონმდებლობით. ეს კანონებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საბიუჯეტო კოდექსი.



საიდან მოდის ფული ბიუჯეტში?

კანონმდებლობა არეგულირებს იმ გადასახდელების ჩამონათვალს რომლითაც ივსება ბიუჯეტი. გადასახადებს ბიუჯეტში იხდიან მოქალაქეები და ბიზნესი. ეს გადახდილი თანხები საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ნაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხება შემდეგი სახის შემოსავლები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსული თანხები, სხვა ადგილობრივი მოსაკრებელი და გადასახდელები, ასევე ქონების გაყიდვიდან შემოსული სახსრები. ცენტრალური ხელისუფლება კაპიტალური პროექტებისთვის და დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს უნაწილებს გარკვეულ თანხებს, რასაც ეწოდება გრანტები. ასეთი გრანტები მუნიციპალიტეტში ძირითადად წლის განმავლობაში ირიცხება და შესაბამისად მუნიციპალიტეტი აზუსტებს თავდაპირველ ბიუჯეტს. როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს აიღოს სესხი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით.

ზემოთ აღნიშნული თანხების ბიუჯეტში მობილიზებაზე პასუხისმგებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლება ასევე ადგილობრივი – მუნიციპალიტეტის ხელისუფლება.

კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება (შემოსავლების სამსახური) უწევს ადმინისტრირებას შემდეგი სახის შემოსავლებს: დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ადგილობრივი ხელისუფლება - დასუფთავების მოსაკრებელს, იჯარით გაცემული ქონებიდან მისარება თანხებს და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებს და გადასახდელებს, ასევე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას თანხების მობილიზებაზე.

ცენტრალურ ხელისუფლება პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით თანხების გამოყოფაზე. ასეთი თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ძირითადად ხმარდება კაპიტალური პროექტების დაფინანსებას, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას.

ხესტაფონის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლის შემოსავლები

2021 წლის საბიუჯეტო წელს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოზიდული იქნა 32101,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 103 პროცენტი. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლების სახით მიღებულია 18622,4 ათასი ლარი. აქედან: ქონების გადასახადი 5453,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 102,4 პროცენტი. დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით შემოსულია 13168,5 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან 372,1 ათასი ლარით მეტი.

ბიუჯეტის შემოსავლების გარკვეულად დიდ პროცენტს შეადგენს გრანტები და იგი შემოსულია 9416,4 ათას ლარი ანუ გეგმიურის 95 პროცენტს. აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი 240,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი (მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის) 680,6 ათასი ლარი, სპეცტრანსფერი 49,7 სკოლების რეაბილიტაცია) ათასი ლარი, სტიქია 205,5 ათასი ლარი, რეგიონალური განვითარების ფონდი 6037,4 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 832, ათასი ლარი, ათასი ლარი, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული გრანტი 623,6 ათასი ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული გრანტი 197,6 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური გრანტი 550,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები (არასაგადასახადო შემოსავლები) მოზიდულია 3084,3 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 2637,5 ათასი ლარისა ანუ 117 პროცენტი. აქედან: დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი 540,4 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან შედარებით 136,5 ათასი ლარით მეტი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 175,0 ათასი ლარი, მიწის იჯარა 12,0 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 33,1 ათასი ლარი, ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 219,2

ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 171,9 ათასი ლარისა, ქონების იჯარა 17,2 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 2024,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 1811,2 ათასი ლარისა, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 62,6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებული შემოსავლები 978,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან (322,7) მიმართებაში 656,0 ათასი ლარით მეტი.

2022 წლის 6 თვე: მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე , მიმდინარე საბიუჯეტო წლის ექვს თვეში აკუმულირებულია 18676,3 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 107 პროცენტი.

აქედან: საგადასახადო შემოსავლების სახით მოზიდულია 11660,5 ათასი ლარი,

ნაცვლად გეგმიური 10117,4 ათასი ლარისა ანუ 115 პროცენტი. მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი 2758,6 ათასი ლარი ანუ 239 პროცენტი, უცხო საწარმოთა ქონების გადასახადი 689,9 ათასი ლარი, ნაცვლად 100,0 ათასი ლარისა, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 1,8 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 24 პროცენტი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 17,5 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 58 პროცენტი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 67,6 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 22 პროცენტი, დამატებითი ღირებულების გადასახადი 8125,0 ათასი ლარი, ნაცვლად 8525,4 ათასი ლარის ანუ 95 პროცენტი.

გრანტების სახით მოზიდულია 4821,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 6780,5 ათასი ლარისა ანუ 71 პროცენტი. აქედან: მიზნობრივი ტრანსფერი (დელეგირებული) 132,6 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 100%, მიზნობრივი ტრანსფერი (მოსწავლეთა ტრანსპორტირება) 748,9 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 89 პროცენტი, კაპიტალური ტრანსფერი 2691,0 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან შედარებით 1342,5 ათასი ლარით ნაკლები, გრანტი ცენტრალური სსიპ-დან 1248,7 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 87 პროცენტი. სხვა შემოსავლები(არასაგადასახაო) მოზიდულია 1757,4 ათასი ლარი ანუ 1214,8 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გეგმით იყო განსაზღვრული. მათ შორის: დეპოზიტზე დარიცხული თანხები 464,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 90,0 ათასი ლარისა ანუ 371,1 ათასი ლარით მეტი, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი 70,1 ათასი ლარი ანუ გეგმიურთან შედარებით 50,1 ათასი ლარით მეტი, მიწის იჯარიდან შემოსავალი 10,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 4,0 ათასი ლარისა ანუ 251 პროცენტი, სამხედრო სავალდებულო გადავადების მოსაკრებელი 0,2 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი 131,5 ათასი ლარი, რაც გეგმიურთან შედარებით 81,5 ათასი ლარით მეტია, სანებართვო მოსაკრებელი 6,5 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 59 პროცენტი, ქონების იჯარა(გარდა მიწისა) 8,3 ათასი ლარი ანუ გეგმიურის 83 პროცენტი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 1043,9 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმიური 337,5 ათასი ლარისა ანუ 706,4 ათასი ლარით მეტი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 22,7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა 437,3 ათასი ლარი შეადგინა ანუ 417,3 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ნაშთი 5502,0 ათასი ლარი, მთლიანი შემოსულობები გასული წლის შესაბამის პერიოდთან ფაქტიური 13209,3 ათასი ლარი. ზრდის ტემპი 2021 წლის შესაბამის პერიოდთან 141%.

2022 წლის 6 თვეში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსულობები	18,676.30
ქონების გადასახადი	3,535.40
დღგ	8,125.00
გრანტები	4,821.10
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	464.10
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	70.10
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	10.10
სანებართვო მოსაკრებელი	6.50
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.20
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	-
მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის	131.50
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8.30
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,043.90
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	22.80
არაფინანსური აქტივების კლება	437.30

2023 წლისთვის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლები დაგეგმილია 36 854 000 ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

	2023 წ პროექტი	2024 წ პროგნოზი	2025 წ პროგნოზი	2026 წ პროგნოზი
შემოსულობები	36854.0	39381.7	42093.7	44957.4
შემოსავლები	36804.0	39329.0	42038.1	44898.8
არაფინანსური აქტივების კლება	50.0	52,7	55,6	58,6
შემოსავლები	36804.0	39329.0	42038.1	44898.8
გადასახადები	25152.9	27095.3	29191.8	31408.6
ქონების გადასახადი	5330.0	5607.3	5898.8	6205.6
დამატებითი ღირებულების გადასახადი	19822.9	21488.0	23293.0	25203.0
გრანტები	10489.8	11011.2	11559.2	12135.2
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები		0	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	10489.8	11011.2	11559.2	12135.2
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	265	265	265	265
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	265	265	265	265
მიზნობრივი ტრანსფერი მოსწ ტრანსპორტირება	0	0	0	0

მიზნობრივი ტრანსფერი.სკოლების რეაბილიტაცია	0	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	10224.8	10746.2	11294.2	11870.2
რეგიონალური განვითარების ფონდი	9559	10046.7	10559.0	11097.5
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	665,6	699.5	735.2	772.7
საქ. მთ 33.03.21 N330 განკ.სტიქია	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა შემოსავლები	1161.3	1222.5	1287.1	1355.0
არაფინანსური აქტივების კლება	50	52,7	55,6	58,6

წარმოდგენილი პროგნოზებით ზესტაფონის მუნიციპალიტეტის შემოსულობების მაჩვენებელი 2023 წელს მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება, ხოლო შემდგომ 2024-2026 წლებში სტაბილურად ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას. 2023 წლის ზრდის მიზეზები წარმოდგენილია წინა თავში. კვლავაც ავლნიშნავთ, რომ უკვე 2023 წელს შესაძლებელია კაპიტალური ტრანსფერის მოცულობა (რომლის დაგეგმვა ცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას) განისაზღვროს თუნდაც მიმდინარე წლის დონეზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს 2023 და შემდგომი წლების ბიუჯეტის შემოსულობების მაჩვენებლებს. მანამდე კი ხარჯების საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმისათვის მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას წარმოდგენილი პარამეტრები.

დამატებითი ღირებულების გადასახადის მოცულობა 2023 წელს მთლიანი შემოსავლების 53,8%-ია (19,8 მლნ ლარი), ხოლო დღეს არსებული პროგნოზებით 2026 წლისათვის იგი მთლიანი შემოსავლების 56,1% იქნება და 25,2 მლნ ლარს მიაღწევს. საბიუჯეტო პერიოდში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ქონების გადასახადიდან მისაღები თანხები 2023 წელს მიმდინარე წლის ოდენობითაა პროგნოზირებული, ხოლო 2023-2026 წლებში გაანგარიშება გაკეთებულია 5%-6%-ის ზრდით ქონების გადასახადი ფორმირების ძირითადი წყაროა გადასახადი საწარმოთა ქონებაზე, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე და ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადზე გადახდილი თანხები.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროა წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი, საქონელი და მომსახურების

რელიზაციიდან მიღებული შემოსავალი, დეპოზიტზე დარიცხული პროცენტები, ჯარიმა, სანქცია-საურავები.

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში დიდი წილი უჭირავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს. 2023-2026 წლების მიხედვით იგი ბიუჯეტის შემოსულობების დაახლოებით 25-28%-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების ტრანსფერების ნაწილში ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, რომლის მოცულობაც გასული წლების მოცულობის ანალოგიურია.

როგორ იხარჯება ფული?

ბიუჯეტში აკუმულირებული თანხები იხარჯება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჭიროებისამებრ. ეს თანხა პირობითად იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახდებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს, ჯანმრთელობისა და სოციალურ ხარჯებს და სხვა. ხოლო კაპიტალური ხარჯები მოიცავს გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალედბულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ.



მუნიციპალიტეტის ხარჯი

2023 წლისთვის შეადგენს


ლ 36 854,0 მილიონს

აღნიშნული სახსრები ბიუჯეტის მიხედვით განაწილებულია შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები
- ინფრასტრუქტურის განვითარება
- დასუფთავება და გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2023 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:


პრიორიტეტის კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა სულ	2023 წლის პროგნოზი
	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	28243,6	41382,1	36854,0
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3132,8	5012,7	4763,3
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13276,6	20099,6	18495,5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2275,8	1920,8	1751,2
04 00	განათლება	3882,7	5102,3	6708,7
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	3256,1	6580,6	2541,9
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2419,6	2663,1	2593,4



კაპიტალური ბიუჯეტი

როგორც აღვნიშნეთ ბიუჯეტის გადასახდელები იყოფა მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების ხარჯებად. კაპიტალური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ხარჯს რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საინვესტიციო ხასიათის პროგრამები, მაგალითად გზების, ხიდების, შენობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება და სხვა.

2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯებისათვის გამოყოფილია 16,308.9 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებისათვის 20,545.1 ათასი ლარი. მათ შორის თანაფარდობა ასეთია:



მაგრამ აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალურ დანახარჯებს წლის განმავლობაში დაემატება ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები.

რას ნიშნავს ჩემთვის 2023 წლის ბიუჯეტი?



საგზაო ინფრასტრუქტურის ნვითარება

16780,6 ათასი ლარი



განხორციელდება შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთება, მათ შორის გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა - ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტო ბეტონის დაზიანებული მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება.



კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება

749,3 ათასი ლარი

გარე განათების მოწყობა, ექსპლოატაცია, მოვლა შენახვის ხარჯების დაფინანსება



სოფლის მხარდაჭერი პროგრამა


665,6 ათასი ლარი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტებისათვის გამოყოფილია თანხა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები: სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის: ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა, და ა.შ გაწმენდებით, წყაროების მოპირკეთება, სანიადვრე არხების, ნაპირსამაგრი სამუშაოები. გზები;

ცხაურები, ხიდები, ხიდ-ბოგირები, გადასასვლელები. გარე განათება; სკოლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა; ამბულატორიის შენობები; კულტურის ობიექტები; სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით; სასაფლაოს შემოღობვა; თავშეყრის ადგილები და მოსაცდელეები.



საპროექტი დოკუმენტაციის დამზადებისა და
ტექ.ზედამხედველობა
300,0 ათასი ლარი



განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება



დასუფთავება და გარემოს დაცვა

1 751,2 ათასი ლარი



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, შწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა, განვითარება, დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა მალეების მოვლითი ღონისძიებები.



განათლება

6 708,7 ათასი ლარი



მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ

პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ბაღების გაერთიანების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბალის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სულ 4560 0-6 წლამდე

სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული, ტერიტორიაზე განთავსებულ 41 საბავშვო ბაღში დღეის მდგომარეობით შესამღებელია 2200 ბავშვის სწავლება. მშობელთა მომართვიანობიდან გამომდინარე კი 1814 აღსაზრდელია რეგისტრირებული, მათ შორის გოგონა -884, ვაჟი კი 930. მათ აღზრდა - განათლებას ემსახურება 154 აღზრდელი, 77 აღზრდელის თანაშემწე და სხვა 295 მომსახურე პერსონალი, აქედან 82 მამაკაცი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეიშება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღზრდლო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის(ცხო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბაღებში სრულფასოვანი სააღზრდლო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაღების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და
სპორტული ღონისძიებები
2 541,9 ათასი ლარი



მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

ამ მიზნით მუნიციპალიტეტი 2023 წელს გეგმავს სხვა და სხვა სახის ღონისძიებების განხორციელებას და ფინანსურ მხარდაჭერას, მათ შორის:

კულტურის ღონისძიებები

ისტორიული თარიღების აღმნიშვნელი ღონისძიებების ჩატარება; შემოქმედებითი სადამოების ორგანიზება; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების ხელშეწყობა; კულტურის მუნიციპალურ პროგრამათა კოორდინაცია; გასართობი ღონისძიებების ორგანიზება.

მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წარმოჩენა, მოტივაცია, მათი შესძლებლობების რეალიზაცია.

ფოლკლორული ხასიათის ფესტივალებისა და კონკურსების დაგეგმვა და ორგანიზება; დეპლუმოხილი ადამიანების პატივგების მიზნით საიუბილეო ღონისძიებების მოწყობა; ქალაქის დაარსების მრგვალი თარიღების აღმნიშვნელი ღონისძიებების ჩატარება

ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნების დახვეწა და დანვითარება. თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდ შემსრულებლების გამოვლენა წახალისება. საუკეთესო რტადიციების გაგრძელება.

ძეგლთა დაცვა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და მოვლა პატრონობა; ბუკლეტების, რუკებისა და სხვა სარეკლამო საშუალებების მომზადება.

ზოგადი განათლების ღონისძიებები

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% იანი გრანტის მფლობელთა ფულადი წახალისება; ოქროსა და ვერცხლის მფლობელი წარმატებული მოსწავლეების ფასიანი საჩუქრებით წახალისება. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება თანადაფინანსება.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსება; ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% იანი გრანტის მფლობელთა ფულადი წახალისება; ოქროსა და ვერცხლის მფლობელი წარმატებული მოსწავლეების ფასიანი საჩუქრებით წახალისება. თანადაფინანსება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება

ახალგაზრდული ღონისძიებები

ახალგაზრდული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, სოციალურად აქტიური ახალგაზრდების გამოვლენა და მათი აქტივობის ზრდის ხელშეწყობა, „ახალგაზრდული საბჭო“-ს ორგანიზება, საგანმანათლებლო, არაფორმალურ და სპორტულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობა, სხვადასხვა სოციალურ ტრენინგებში ახალგაზრდების ჩართულობა, გასვლით-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება, სხვადასხვა კონკურსები ახალგაზრდებისათვის. სადღესასწაულო დღეების აღსანიშნავი ღონისძიებების მოწყობა-ჩართულობა.

სპორტის ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ფედერაციებთან და სპორტის სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ტურიზმის ღონისძიებები

ტურ-ოპერატორებთან თანამშრომლობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

• **ჯანმრთელობის დაცვა:**

პროგრამას ახორციელებს ა.ა.ი.პ: „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრი“, რომლის ფარგლებშიდაც ხდება მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და საგანგებო სიტუაციების მართვა, კომპენტენციის ფარგლებში. (წესდების შესაბამისად) პირველადი ეპიდკვლევების განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა. ეპიდზედამხედველობის სისტემაში პრევენციული პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა. დაავადებათა ერთეული ერთეული ჯგუფური შემთხვევების დაფიქსირება/პრევენციული ღონისძიებები. დაავადებათა სეზონურობიდან და ციკლურობიდან გამომდინარე დაავადებათა შემთხვევებზე აქტიური და პასიური ზედამხედველობის დამყარება, შედეგების შეგროვება და დამუშავება რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად დაავადებათა სტატისტიკური

მაჩვენებლების გამოთვლის მიზნით. პროფილაქტიკური აკრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული, იმუნიპროფილაქტიკისთვის, საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების მიწოდებლებისათვის. „ცხოვრებოს ჯანსაღი წესის „ ჯანსაღი წესის „ ღონისძიებების დამკვიდრების ხელშეწყობა, ჯანმრთელობ ღონისძიებების დამკვიდრების ხელშეწყობა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა

• სოციალური დაცვა



• პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას, მათ შორის: მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების

ფინანსური დახმარება .

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების დახმარება შემდეგ კატეგორიებზე:

- ლეიკემიით, ჰემოფილიით და ჰომოზიგოტური B თალასემიით დაავადებული ბენეფიციარები.
- დახმარება განესაზღვროთ – 600 ლარით.
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია
- ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 500 ლარის ოდენობით.
- 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთანაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200 ლარის ოდენობით.
- 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთანაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი რომელთა დიაგნოზია ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა. განესაზღვროთ დახმარება ერთჯერადად 1 200 ლარი
- მარტოხელა ოჯახები (დედა,მამა), რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ ბავშვები- დახმარება განესაზღვროთ - 200 ლარის ოდენობით.
- მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 4 და მეტი შვილი დახმარება განესაზღვროთ 500 ლარით.
- ლაბორატორიულ – დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა-200 ლარი.
- რადიოაქტიური იოდით მკურნალობა 500 ლარი.

- ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 200 ლარი.
წლის განმავლობაში ქიმოთ და სხივური თერაპიით, მედიკამენტებით მკურნალობისათვის დამატებით 200 ლარი.

- ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექციის დახმარება .

ქვეპროგრამა: „განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება“.

ქვეპროგრამა: „გადაუდებელი საჭიროების" პროგრამა.(10 ოჯახი) .

ქვეპროგრამა: „სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის სამეშე მერქნით დახმარება“

ქვეპროგრამა: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა ბიუჯეტი - 10 000 ლარი .

- ეპილევსიითა და პარკინსონით დაავადებულების დახმარება
- თირკმლის უკმარისობით (ჰემოდიალიზი, პერიტონიალური) დაავადებულ პირთა დახმარება.

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის „ უფასო სადილი“ – თ უზრუნველყოფა.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

ქვეპროგრამა „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა“ – 200 ლარი.

ქვეპროგრამა „ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

- სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება
- სარიტუალო– გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება
- სადღესასწაულო დახმარება

ღირსშესანიშნავ, ტრადიციულ და ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით სოციალური თანადგომა/ მხარდაჭერის მიზნით დახმარება გაიცეს როგორც ინდივიდუალურ პირზე ასევე სოციალურ ჯგუფებზე.

- მარჩენალდაკარგულების დახმარება

- ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მხედველობით მკვეთრი და მნიშვნელოვანი სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფინანსური დახმარება

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ზრმობების მონაწილეები დახმარება. თითოეულს 100 ლარის ოდენობით.

- საცხოვრებლით უზრუნველყოფა
- ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით და ცელიაკით დაავადებული ბავშვების ფინანსური დახმარება.

სამედიცინო მომსახურეობის ფინანსური დახმარება

სად შემიძლია გავიგო მეტი?

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ბიუჯეტში აღწერილი ხარჯებისა და დაბეგვრის შესახებ მოკლე მიმოხილვა. თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი და დაწვრილებით, მაშინ ეწვიეთ ვებ – გვერდს <https://zestafoni.gov.ge/>

